# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 124 ოთხშაბათი, 25 დეკემბერი, 1918 წ. № 124


ეროვნული ბიბლიოთეკა

**მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი**
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## მამულიშვილნო!
## დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია
## მოიხადეთ თქვენ მოვალეობა

**ქართული ლეგიონი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით მოუწოდებს მოხალისეებს.**

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაში, (სასახლის ქუჩა) ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით მოთავსებულია ლეგიონის კანცელარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლ ე ო კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე.

## სახელმწიფო თეატრი

**ო პ ე რ ა.**

გამგე ს. ი. ყვლახიშვილი. ოთხშაბათს, დეკემბრის 25-ს, ალეშკოს, იინსას, ზალიპსკის, პოლიაევის მონაწილეობით.

## ზ ა ზ ა

დასაწყისი 7 საათზე. კასა გაღებულია დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5-დან სპექტაკლის ბოლომდე. ხუთშაბათს, დეკემბრის 26-ს, საბანეევას, მოროზოვას, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით „ლაკმე“ და ბალეტი. შაბათს, დეკემბრის 28-ს, დირიჟორი ი. ა. სამოსუდის ბენეფისი „გოფმანის ზღაპრები“. მონაწილეობენ: საბანეევა შულგინა, შვამბერგი, მოროზოვა, ზალიპსკი, ნიკოლსკი. 1253 1—1

## აწერ მანქანებს ქართულ ენაზე ვიღებთ გადასაკეთებლად

შრიფტი ფოლადისაა და საუკეთესოთ შესრულებული. შეკვეთა შეიძლება ტეხნიკურ კანტორაში „ინჟინერ ვ. ლ. კანდელაკი და ამხანაგობა“. ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა, № 1 ტელეფონი 5. 1203 5—2

## შაბათს, 28 დეკემბერს საქართველოს მეომართა დღე

ტფილისის მოქალაქენო! დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი წმინდა სისხლით უზრუნველჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას. დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს ულრმესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბანში ავტომობილებით შეაგროვებენ შემოწირულებას. გოლოვინის პროსპექტი № 24.

საქართველოს მეომართა **დამხმარე კომიტეტის**
თავმჯდომარე **ნ. გაბაშვილისა.**

### ოფიციალური განყოფილება

## კანონი

**საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელის გავრცელებისა.**

1. დაარსებულ იქნეს საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება.

2. დაევალოს სოფლის საზოგადოებას უსასყიდლოდ დაამზადოს ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯგები, მიიტანოს ადგილზე და დათხაროს ორმოები; აგრეთვე უსასყიდლოდ დაუთმოს ფოსტა-ტელეგრაფს საჭიროებისათვის ოთხ თვალიანი სახლი—გათბობა-განათებით და დარაჯით, სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობად და ავეჯეულობის შესაძენად გადაიხადოს ორი ათას ხუთასი (2500) მანეთი ერთდროულად, ხოლო ტელეფონით სარგებლობისათვის ხუთასი (500) მანეთი ყოველ წლიურად.

3. დაევალოს სასოფლო მილიციას ფოსტის გადატან-გადმოტანა.

4. გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდამ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამ საქმის მოსაწყობად სამი წლის ვადით ერთი მილიონი შვიდას ოთხმოცდაექვსი ათას ორას ორმოცი (1.78.6240) მან.

5. ამ კრედიტის საზღვრებში მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება შეიძინოს შესაფერი მასალა ცხრაას ოცდა თოთხმეტი ათას ორმოცი (934040) მანეთად ღირებული ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საწყობიდან, თანახმად წარმოდგენილი ნუსხისა.

6. გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ას ორმოცდა ათი ათასი (15000) მანეთი. ამ კანონით ახლად დაწესებულ საფოსტოგანყოფილებათა შტატის შესანახად 1918 წლის დამლევამდე.

1918 წ., ოქტომბრის 29.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ნ. ჩხეიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.**

## ხარჯთ-აღრიცხვა

ახლად გასაყვან ტელეფონის და ტელეგრაფის ქსელისა და საფოსტო განყოფილებათა გახსნისა.

| №№ რიგზედ. | სამუშაოს აღწერა | რიცხვი. | ფასი. ცალკე. მან. | კ. | ფასი. საერთო. მან. | კ. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ა. მასალის დამზადება.** | | | | | | |
| | მასალა, რომელიც უნდა დაამზადოს ადგილობრივმა საზოგადოებამ. | | | | | | |
| 1 | ფიჭვის, მუხის და სხვა ჯიშის ბოძები სიგრძით 3—4—5 საჟ. და სიმსხოთი თავში 3—4 ვერშ. თითოეულ ვერსის მანძილზე 15 ცალის ანგარიშით და ზედმეტად 10 ბიჯგებისა და იმ ადგილებისათვის, სადაც ერთი ვერსის მანძილზე საჭირო იქნება 15 ბოძზე მეტი,—49530+4953 | 54485 | — | — | — | — | დამზადებულ უნდა იქნენ ადგილობრივად უსა[illegible] ლოდ. |
| | მასალა, რომელიც უნდა დამზადდეს ადგილობრივად საიჯარო ან საოჯახო წესით. | | | | | | |
| 2 | [illegible] რიგების მოსათავსებელი ყუთები [illegible]ებისათვის დაწესებულებათა რიცხვის მიხედვით,—სულ. | 100 | 100 | — | 10000 | — | |
| | მასალა, რომელიც უნდა დამზადდეს ოლქის განკარგულებით ტფილისში. | | | | | | |
| 3 | საკანტორლო და სადგურებში შემტანი კრონშტეინები ბურღებით-სამაგრეებით, დაწესებულებათა რიცხვის მიხედვით, 424 ვალი, წონით თითო რვა გირვანქა, ვარაუდით სულ ფუთობრივი | 85,6 | 50 | — | 4280 | — | |
| 4 | ფაიფურის შემტანი საცობები ორ-ორი თითო დაწესებულებაზე,—სულ | 848 | 3 | — | 2544 | — | |
| 5 | ფაიფურზე გაკეთებული საჭერები ორ-ორი თითო პუნქტზე,—სულ | 848 | 5 | — | 4240 | — | |
| 6 | ფაიფურის რგოლები ბურღებით 20 ცალი თითო პუნქტისათვის,—სულ | 8480 | — | 20 | 1696 | — | |
| 7 | გალაქული ფიცრის ნაჭრები 1,5 არშ. თითო პუნქტისათვის | 636 | 2 | — | 1272 | — | |
| 8 | გაფისული კახაფი იზოლიატორების რიცხვის მიხედვით,—ფუთობრივ | 150 | 100 | — | 15000 | — | |
| | ს უ ლ . | — | — | — | 39032 | — | |
| | მასალა, რომელიც მიღებული იქნება ოლქის საწყობიდან. | | | | | | |
| 9 | ტელეგრაფის კავები, ბოძების რიცხვის მიხედვით, 54485 და 30% მიმატებით დამტვრევა დაკარგვისათვის,—სულ | 71000 | — | 42 | 29820 | — | უფასოდ. |
| 10 | კალა, ტყვია სიმჟავე, სადებავი წამალი, ლურსმები და სხვა საგნები | ცალ | ქა | ან | გა | რიშის | წარმოდგენით. |
| 11 | ტელეგრაფის მცირე ზომის იზოლიატორები, კავების რიცხვის მიხედვით, 71000 და 10% მიმატებით დამტვრევისათვის, სულ | 78000 | — | 50 | 39000 | — | უფასოდ. |
| | (წონით 5460 ფუთი). | | | | | | |
| 12 | შენობებში შემტანი კავები თითო დაწესებულებაზე ორი ცალი,—სულ | 900 | — | 50 | 450 | — | „ |
| 13 | ტელეფონის იზოლიატორები, კავების რიცხვის მიხედვით,—სულ | 900 | — | 50 | 450 | — | „ |
| | (წონით 36 ფუთი). | | | | | | |
| 14 | რკინის 4 მილიმეტრიანი მავთული, ვერსზე 7 ფუთის ანგარიშით, სულ 330+268 = 3570 × 7 = 24990 + 25%,—რიცხვით | 32000 | 15 | — | 480000 | — | „ |
| 15 | შესაკრავი, 2,5% მავთული ფუთზე 350 წყვილი, შეკვრის ანგარიშით 78000:350 | 220 | 12 | — | 2640 | — | „ |
| 16 | საკავშირო, 1,5% გათუთვილი მავთული, ერთ ვერსს მავთულზე 30 მისხლის ანგარიშით,—ფუთობრივ | 30 | 12 | — | 360 | — | „ |
| 17 | შენობაში შემტანი მავთული თითო პუნქტისათვის ორი გირვანქის ანგარიშის ვარაუდით | 850 | 2 | — | 1700 | — | „ |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | ოთახის მავთულით, თითო პუნქტზე 2,5 გირ. ვარაუდით,—გირვანქობრივ . . . . | 1060 | 3 | — | 3180 | — | უფასოდ. |
| 19 | მორზეს აპარატები მთელი მოწყობილობით და დამზადებით,—ცალობრივ . . . | 420 | 500 | — | 210000 | — | „ |
| 20 | ტელეფონის აპარატები ინდუქტორით გამოსაძახებლი და სარიდებელით,—ცალობრივ . . . . . . . . . . . . . | 200 | 200 | — | 40000 | — | „ |
| 21 | ტელეფონის აპარატები ფონიური გამოძახებით,—ცალობრივ . . . . . . . . . | 423 | 200 | — | 84600 | — | „ |
| 22 | ლეფლიანშეს ელემენტები ორი ცალი თითო აპარატზე,—ცალობრივ . . . . . | 1240 | — | — | 6240 | — | „ |
| 23 | მეიდინჯერის ელემენტების სრული კომპლექტი,—ცალობრივ . . . . . . . . . | 3000 | 10 | — | 30000 | — | „ |
| 24 | შაბიაბანი,—ფუთობრივ . . . . . . . | 100 | 50 | — | 5000 | — | „ |
| 25 | ნიშადური ფხვნილად,—ფუთობრივ . . | 40 | 15 | — | 600 | — | „ |
| | სულ . . | — | — | — | 934040 | — | |
| | **ბ. მუშაობის წარმოება.** | | | | | | |
| 26 | გაკვლევა ხაზებისა ვერსობრივ . . . | 3302 | 5 | — | 16510 | — | |
| 27 | თხრილების გათხრა და ბოძების მიზიდვა თხრილებთან,—ცალობრივ . . . . . | 54485 | — | — | — | — | |
| 28 | ბოძების დადგმა, ბიჯგების მიყენება და საშმების გაკეთება ცალობრივ . . . . | 54485 | 4 | — | 217940 | — | |
| 29 | კავების დასობა, იზოლიატორების დასხმა, მავთულების გაშლა, გაჭიმვა, გაბმა, ლაკავშირება და იზოლიატორებზე მიბმა მთელი ხაზების სივრცეზე,—ვერსობრივ . | 3570 | 20 | — | 71400 | — | |
| 30 | შესავლების მოწყობა, ოთახის მავთულების გაყვანა, მოწყობილობის შეერთება, დამზადება სათანადო კომუტატორებისა,—ცალობრივ . . . . . . . . . . . . . | 424 | 60 | — | 25440 | — | |
| 31 | მასალების მიზიდვა საწყობ ადგილებამდე და მთელ რიგზე დარიგება, ვარაუდით,—განსაკუთრებული ანგარიშის წარმოდგენით . . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | 30000 | — | |
| | სულ მუხ. ბ. . . | — | — | — | 361290 | — | |
| | **გ. ტეხნიკოსების საგზაო და დღიური ხარჯი,** | | | | | | |
| 32 | დღიური რვა მექანიკოსს სამი წლის განმავლობაში . . . . . . . . . . . . . | 8640 | 15 | — | 129600 | — | |
| 33 | დღიური ათ ზედამხედველს სამი წლის განმავლობაში . . . . . . . . . . . | 10800 | 15 | — | 162000 | — | |
| 34 | საგზაო მექანიკოსებს . . . . . . . . | — | — | — | 30000 | — | |
| 35 | „ ზედამხედველებს . . . . . . | — | — | — | 30000 | — | |
| | სულ მუხ. გ. . . | — | — | — | 351600 | — | |
| | საერთო ჯამი . . | — | — | — | 751922 | — | |
| 36 | მოულოდნელი ხარჯი და მათ შორის საგზაო ნამუშევრის შესამოწმებლად და ჩასაბარებლად,—სულ . . . . . . . . . | — | — | — | 98078 | — | |
| | სულ ამ ხარჯაღრიცხვით აღნუსხულია ფულად . . . . . . . . . . . . . . . | — | — | — | 850000 | — | |
| | საქონელი ოლქის საწყობიდან უფასოდ . | — | — | — | 934040 | — | |

1918 წ. ოქტომბრის 29.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## კ ა ნ ო ნ ი

### ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსლის გავრცელებისათვის გადადებული კრედიტის განაწილებისა.

ამა წლის ოქტომბრის კანონით ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსლის გავრცელებისათვის გადადებული კრედიტი განაწილებულ იქნეს შემდეგ ნაირად:

1918 წლისათვის გადაიდოს ერთი მილიონი ას ოთხმოცდა ექვსი ათას ორას ორმოცი (1186240) მანეთი, 1919 წლისათვის ოთხას ათასი მანეთი და 1920 წლისათვის ორასი ათასი (200000) მანეთი.

17 დეკემბერი, 1918 წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება

# სამშობლოს დასაცავად

### გმირულად დაღუპულ გვარდიელთა შესახებ.

ქალაქის გამგეობამ, მოისმინა რა ქალაქის მოურავის ნ. ზ. ელიავას მოხსენება სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის ალექსანდრე მაისურაძის და მასთან 15 გვარდიელების ბრძოლის ველზე სამშობლოს დაცვისთვის დაღუპვის და მათ გვამების 24 დეკემბერს გამოსვენებისა და დაკრძალვის შესახებ, დაადგინა განსვენებულ გმირთა გვამების გამოსვენებაზე და დაკრძალვაზე დაესწროს ქალაქის გამგეობა, მოახსენოს ამის შესახებ ქალაქის საბჭოს პატივსაცემად და გმირთა კუბოები შეამკოს გვირგვინით, რომლის ლენტზე უნდა იყოს მოთავსებული შემდეგი წარწერა: „სამშობლოსა და თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირთ".

### ქალაქთა, ერობათა, კოოპერატივთა და პროფესიონალურ კავშირთა კრებები.

29 და 30 დეკემბრისთვის ტფილისში დანიშნულია სამი კრება, რომელიც გამოწვეულია სომხეთის ჯარის საქართველოზე თავდასხმის გამო. 1) კრებაზე მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი საქართველოს ქალაქთა კავშირისა ამ კავშირის უმთავრეს კომიტეტის მიერ. 2) იმავე საქართველოს ერობის ორგანიზაციონულ ბიუროს მიერ მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი საქართველოს ყველა მაზრის ერობისა და 3) [illegible] გამოწვეულნი არიან წარმომადგენელნი საქართველოს ყველა რაიონის კოოპერატივებისა ამიერ-კავკასიის კოოპერატივების კავშირის საბჭოს მიერ.

ამ კრებების გარდა, ცენტრალური ბიურო პროფესიონალურ კავშირთა, აგრეთვე აპირებს ტფილისში მოიწვიოს საქართველოს ყველა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენელნი.

### დაპატიმრებული ხმოსნები.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა შორის სომხების ფარულ კრებაზე დაპატიმრებულნი იყვნენ გ. ხატისოვი, ზარგარიანცი, ტერ-სტეფანოვი, მატინიანცი და ქალი ხმოსანი თათევოსიანცი.

### ქალაქთა კავშირში.

საქართველოს ქალაქების კავშირის უმთავრესმა კომიტეტმა სომხეთთან ომის გამო დაადგინა სისწრაფით მოაწყოს ბრძოლის ველიდან მისაღებათ დაჭრილი ოფიცრებისა და ჯარის კაცთათვის ქსენონი 100 საწოლით. საჩქაროთ გაგზავნოს ფრონტზე ორი სამედიკო სასანიტარო რაზმი და ფრონტის ახლო ადგილებში მოაწყოს ლაზარეთის და გვარდიელების თეთრეულობის გარეცხვა და აგრეთვე აბანოები.

### საექიმო-სასანიტარო საქმის მოწყობა.

საექიმო და სასანიტარო ნაწილის მოწყობა სომხეთთან ომის განმავლობაში მთავრობამ საქართველოს ქალაქთა კავშირს მიანდო, რომლის მთავარ კომიტეტს მიეცემა ხაზინიდან საჭირო სახარჯო.

### ალექსანდრეს ქსენონში საწოლების გადიდება.

ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ქალაქის ალექსანდრეს ქსენონში (დიდი მთავრის ქუჩაზე) 100 საწოლი მიეცეს ომში დაჭრილ ჯარის კაცებს.

### საქართველოს გერმანელები.

საქართველოს გერმანელთა ახალშენების გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი" სწერს:

„სამწუხაროა, რომ მსოფლიო ომის გაკვეთილების შემდეგ კიდევ მოიძებნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ჩააგდეს მთელი ერები ომის ცეცხლში.

მაგრამ თუ ბედი ასეთია, ჩვენ არ ვყოყმანობთ.

ჩვენ არ დავიშურებთ არაფერს, რასაც კი მოითხოვს ჩვენგან სამოქალაქო მოვალეობა.

ჩვენ უკლებლივ გამოვიყვანთ ომში ჩვენს ხალხს, რათაც უნდა დაგვიჯდეს ესო".

### გზათა უფროსის მიმართვა.

საქართველოს რესპუბლიკის გზათა უფროსმა ბ. კანდელაკმა შემდეგი ბრძანება გასცა ლიანდაგის ყველა უფროსთა სახელზე.

რკინის გზის მუშაკთ ჯერ კიდევ ვერ მოუსწვრიათ წელში გამაგრება წინა თვეების მძიმე განცდისაგან, რომ ახლათ სდგანან ახალ მსხვერპლთა და განცდათა წინაშე. ხალხის მტრებმა, დაბრმავებულებმა ავანტიურისტულ პოლიტიკით შესძლეს სომხის დემოკრატიის ჩათრევა ახალ ძმათა სისხლთა ნთხევის საყასპოში და სანაინის ხეობაში იღვრება უდანაშაულო სისხლი ორ მოძმე ხალხისა. საქართველო, ამ საშინელ საფრთხის მოახლოების გამო, რომელიც ძირს უთხრის და ხიფათს უმზადებს რევოლიუციის ყოველ გვარ მონაპოვარს და ახალგაზრდა რესპუბლიკის სახელსა და ღირსებას ლახავს, იკრებს თავის ყველა ძალებს ვერაგ მტერთან საბრძოლველათ და გინდა დაიჯერო, რომ რკინის გზის მუშაკნი მებრძოლთა პირველ რიგებში ჩასდგებიან და განმსჭვალულნი საპასუხისმგებლო მოვალეობით მდგომარე მომენტის დროს, პატიოსნათ და ღირსეულათ შეასრულებენ თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. რკინის გზის მუშაკთა ერთი ნაწილი უკვე გაემგზავრა ფრონტზე და გულმკერდ გაშლით იცავენ სამშობლოს და თავისუფლებას. დანარჩენმა ნაწილმაც უნდა ყველა ზომა მიიღოს და თავისი ძალა—ენერგიით ერთხელ კიდევ ექვეთოს ახალ ქარიშხალს. არც სიმხდალეს, არც გულის გატეხას და მით უმეტეს საბოტაჟს და სამხედრო სამსახურის თავის დახწევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. საგანგებო მოვლენანი თხოულობენ მუშაობის გაორკეცებას რკინის გზის აგენტების მხრივ და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რკინის გზის მუშაკნი სახელოვნათ შეასრულებენ თავის ვალს სამშობლოს წინაშე და გაამართლებენ ყველა იმ იმედებს, რომელსაც მათზე ვამყარებთ, მაგრამ თუ მათ შორის მოლოდინ გარეშე, აღმოჩნდებიან ხალხის მტერი, აგენტები მათ არ დავინდობთ არას გზით.

### მოწოდება.

მოქალაქენო და ბრძოლაში გამოწრთვნილო ჯარის კაცებო! თქვენ ხედავთ, რომ ვერც ქართველურმა გულკეთილობამ, ვერც შეთანხმება შეერთებისაკენ მოწოდებამ და ვერც ზედმეტმა მოთმინებამ ვერ მოალბო სომეხთა მართველ წრეების გაქვავებული გული. პირიქით, ჩვენი ერის ზედ-მეტმა მოთმინებამ, გულკეთილობამ ზედ-მეტად გაათამამა ქვენა ზრახვებით შეპყრობილი სომხობა და ქურდულად შამოესია ჩვენს საკუთარ მიწა-წყალს და შემოესია იმ იმედით, რომ ჩვენს ხალხს ხელ-ახლა უკრან თავი მათგანვე შესისხლხორცებულ მონობის უღელში და თვითონ კი ჩვენს მიწა-წყალზე არხეინათ ინავარდონ თავიანთი ჩარჩული მადით. მოქალაქენო და ჯარის კაცებო, აღადგინეთ თავიანთ შორის ის ძველი ქართველური გმირული ხალხი, რომელიც როგორც წინანდელ, ისე ეხლანდელ ომებშიაც თავზარსა სცემდა ყოვლის მხრით მოზღვავებულ მტერს. აღადგინეთ იგი თავიანთ შორის და სასწრაფოთ გამოცხადდით თავთავიანთ სამაზრო სამხედრო სამმართველოებში, რათა იარაღით ხელში შევსძახოთ ურცხვ მტერს.

„შესდექით მურტალნო! ჩვენ გიჩვენებთ თუ როგორ უნდა მტერს დახვედრა.

ჩვენ მტკიცენი ვართ ძმობა-ერთობის დაცვაში, მაგრამ კიდევ უფრო მტკიცენი ვიქნებით ამ ერთობის დამარღვეველ მტერთან ბრძოლაში".

მაშ, ჩქარა ყმაწვილებო, სამშობლო თქვენგან შველას მოითხოვს.

1-ლ ქვეითა დივიზიის უფროსი გენერალი ართმელაძე.

### სავალდებულო დადგენილება.

ვიღებ რა მხედველობაში განსაკუთრებით შექმნილ მდგომარეობას საზოგადოების საყურადღებოთ ვაცხადებთ შემდეგს: ის პირები, რომლებიც არ დგანან შეიარაღებულთა რიგში და აქვთ სასროლი იარაღები, გარდა სანადირო თოფებისა, ვალდებულნი არიან დაუყონებლივ წარმოადგინონ გვარდიის შტაბში ასეთი იარაღები. ვინც ამ განკარგულებას უყურადღებოთ მოეპყრობა ის ჩაითვლება, როგორც ხელის შემშლელი [illegible] და სასტიკათ დაისჯებიან, როგორც მოღალატეები.

### გუბერნიის კომისრის ბრძანება.

გუბერნიის კომისარმა დაუგზავნა ბრძანება მთელ გუბერნიაში ყველა დაწესებულებებს, რათა საჩქაროთ იქნან განთავისუფლებულნი სამსახურიდან ის პირები, რომელთაც ეხებათ მობილიზაცია და გამოცხადდენ მოსაკრებ პუნქტზე.

### მოქალაქეთა მიმართ.

სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ზოგიერთები პირები განზრახავრცელებენ ცრუ ხმებს, როგორიც არის მაგალითათ მობილიზაციის გადადება, სამხედრო მინისტრის გადაყენება, სომხეთის ჯარის მიერ ჩვენი ჯარის დამარცხება და სხვა ასეთი, და ამით იწვევენ საზოგადოებაში პანიკას. გარდა ამისა ზოგიერთები ეწევიან პროვოკაციას და ჯარსა და გვარდიელებს ერთმანეთზე აქეზებენ.

ჩვენ ერთხელ და საბოლოოთ ვაფრთხილებთ მოქალაქეთ ასეთი ნაბიჯებისგან. წინაამდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან.

სახალხო გვარდიის ქუთაისის შტაბის თავმჯდომარე ნიკ. ჭუმბურიძე.

# საქართველოს მთავარი შტაბის ცნობა

### სადახლოსთან.

სადახლოსთან ორი დღის ძლიერი ბრძოლა დამთავრდა ჩვენი ჯარის გადაჯგუფებით, რომლემაც ახალი პოზიციები დაიჭირა.

მტერი ძლიერი ძალებით იერიშებს აწარმოებდა. გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენ ზურგში მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა, რომლებმაც გააფუჭეს რკინის გზა.

მტრით შემორტყმულმა ჩვენმა ჯარმა, მეტათ მძიმე პირობებში, მამაცურათ და გმირულათ შესძლო რკალის გარღვევა, და მტერს არაფერი დაუტოვა. არტილერიამ დახარჯა ყველა ტყვია და მამაცურათ გაარღვია მტრის რკალი.

# მომენტის შესახებ,

### თელაველი სომხების რეზოლიუცია

ტფილისი, 23 დეკემბერი. თელავიდან საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: თელავის სომხების მრავალრიცხოვანი კრება 21 დეკ. საქართველოს და სომხეთის შორის შექმნილ მდგომარეობაზე მსჯელობის შემდეგ, პროტესტს აცხადებს სომხეთის ავანტიურისტთა მოქმედებაზე, რომლის შედეგია ორ მოძმე ერის შუა სისხლის ღვრა. თელავის სომხობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და ჰპირდება ყოველ გვარ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვაში. ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ ყოველ გვარი ზომები მოძმეთა ერების სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. თავმჯდომარე ხითაროვი.

### თელაველი სოც.-დემ. სომხები.

შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე თელავიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „თელავის სოციალ დემოკრატიული ფრაქციის სომეხი წევრები დეპეშით უცხადებენ დღეს, 19 დეკემბერს, სომხეთის მთავრობას პროტესტს სანაინში ორ ძმათა შორის უმანკო სისხლის დაღვრისთვის. ჩვენ, სომეხი სოც.-დემოკრატები, მუდამ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მივდიოდით ქართველ დემოკრატიასთან ერთად მტრის წინაამდეგ და შემდეგშიაც ასევე ვიქნებით. ყოველთვის ერთად ვხდებით იარაღით ხელში, როგორც გარეულ, ისე შინაურ მტრებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცავათ. ჩვენ, სომხის დემოკრატია, ვუცხადებთ საქართველოს მთავრობას სრულ ნდობას და ვთხოვთ ყველას, განურჩევლათ ეროვნებისა, გაგზავნილ იყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცველად, ქართველ დემოკრატიასთან ერთად სომხის დემოკრატიაც, რომელიც არა ნაკლებ დაიცავს საქართველოს, სადაც ისინი აღზრდილან და თავის მოძმე ქართველებთან ერთად უღვრიათ სისხლი. სომეხთა სოცია დემოკრატიის ფრაქციის წევრი თელავში.

### ლიტერატორ-მხატვართა რეზოლიუცია.

1918 წელს, 20 დეკემბერს შესდგა ტიგრან ნაზარიანის სალიტერატურო-სამხატვრო დარბაზში მორიგი სხდომა. ბ. ტიგრან ნაზარიანმა განაცხადა, იმსჯელონ სომეხ-ქართველთა შეთანხმების კონფლიქტის შესახებ.

თავმჯდომარის წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ დაიწყეს მსჯელობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ: ექიმი ალასარია-

ნი, აბულიანი—(სანასარიანის სასწავლებლის დირექტორი), ჰახუმიანი, ტიგრან ნაზარიანი, ატრეპეტი, ტერ-გრიგორიანი და სხვანი.

ამის შემდეგ ბ. ტიგრან-ნაზარიანმა წინადადება შეიტანა, რომ წაკითხული იქმნას. იუჟინ—სუმბათოვის დრამატიულ ლეგენდის „ღალატის" მთარგმნელ, ბ. ჯალალ ტერ-გრიგორიანის დახურული პიესის წინასიტყვაობა, რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნულია სომეხ-ქართველთა მეგობრული განწყობილება, რომელიც აღკრძალული იყო ცენზურის მხრით 1904 წელს. დიდხან მსჯელობის შემდეგ შეიმუშავეს შემდეგი რეზოლიუცია:

1. ეხლა, როდესაც უკვე გათავდა საერთაშორისო დამღუპველი ომი როგორც ევროპაში, ისე აზიაში ამას ახლათ იმეორებენ სომხეთის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკური სახელმწიფოები. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ორ მეზობელს და თითქმის მათესავ ერებს ათას წლების განმავლობაში არასდროს ერთმანეთზე მახვილი არ აუმაღლებიათ.

2. და რომელთაც თავიანთ გამარჯვების შემდეგ, არ დარჩებათ ეს ადგილები და მით ვერ ისარგებლებენ. ვერც გამარჯვებას შეუძლიან მიანიჭოს ის სიხარული, რომელსაც შეეძლოს ეს შხამიანი და მოწამლული გესლის ამოშლა ყველა მოქალაქის გულიდან.

3. ამისათვის კრებამ გადასწყვიტა მიმართოს სომხეთის და საქართველოს მთავრობას და სთხოვოს მიიღონ უკანასკნელი ზომები, რათა წინადღითვე შესაძლებელი გახადონ, რომ კონფერენციით და არბიტრაჟით ბოლო მოუღონ ამ ორ ძმათა შორის სისხლის ღვრას.

4. ეს დადგენილება შეატყობინონ სომხეთის და საქართველოს მთავრობას, და დაბეჭდონ ეს რეზოლიუცია სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

# მობილიზაცია.

### ლურჯ ბილეთიანების ჯარში გაწვევა.

სამხედრო მინისტრის ბრძანებით ჯარში გაიწვევენ ლურჯ ბილეთიანებს, რომელნიც დაბადებულნი არიან 1892, 93, 94 და 95 წლ. მობილიზაციის პირველ დღეთ 24 დეკემბერია დანიშნული. მიღებაა ყოველ დღე, დილის 8 საათიდან საღამოს 16 საათ., სამხედრო უფროსის ბინაზე. სადგურის ქუჩა, თამამშევის სახლი.

# საგენერალგუბერნატოროში.

### დანიშვნა.

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით მის საგანგებო რწმუნებულათ ტფილისის მაზრისა დაინიშნა ტფილისის მაზრის კომისარი გომართელი, ხოლო გორის მაზრის საგანგებო რწმუნებულათ ამავე მაზრის კომისარი ქარცივაძე.

### ალბულაღსა და მანგლისში.

ტფილისის გენ. გუბერნატორ მაღლაკელიძის განკარგულებით ალბულაღსა და მანგლისს გაიგზავნა საგანგებო ცხენოსანთა რაზმი ამ კუთხეებში მობილიზაციის წესიერათ გასატარებლათ და საეჭვო ელემენტების შესაპყრობლათ.

### გ ო რ ი.

გორში ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით გაიგზავნა საგუბერნიო ბათალიონის საგანგებო რაზმი. ამავე მაზრაში გადიდებულ იქნება მილიციის რეზერვი.

### საგანგებო რაზმები.

ქ. ტფილისში გენ. გუბერნატორის განკარგულებაში მოდის ყოველ დღე საგანგებო რაზმები თვისი იარაღით და მოკაზმულობით.

### მაჰმადიანთა რაზმი.

გენ. გუბერნატორ მაღლაკელიძეს სხვა და სხვა მაზრებში წესიერების დასამყარებლათ შემდგარი ჰყავდა მაჰმადიანთა რაზმებიც. ეხლა ტფ. გენ. გუბერნატორათ დანიშვნის შემდეგ ბ. მაღლაკელიძესთან მოდიან ეს რაზმები თვის იარაღით და დახმარებას და სამსახურს ჰპირდებიან. უკვე ჩამოვიდა ყარაიაზიდან მაჰმადიანთა რაზმი კომისარ აბას კული ნური ოღლის ხელმძღვანელობით.

### თელავიდან რაზმის ჩამოსვლა.

თელავიდან ჩამოვიდა საგუბერნიო ბათალიონი და ტფ. გენ. გუბ. მაღლაკელიძის განკარგულებაში იქმნა დატოვებული.

### მილიცია.

როგორც განსაკუთრებული რაზმი, ისე ქალაქის მილიცია თვის უფროსებით ტფ. გენ. გუბერნატორის სრულ განკარგულებაში დარჩა.

### ფარული კრებები.

ტფ. გენ.-გუბერნატორის ცნობით ვინაიდან სომხები ფარულ კრებებს ახდენდენ ტფილისში, მიღებულ იქმნა ზომები და ქალაქის სხვა და სხვა უბანში შეიპყრეს ფარულ კრების მომწყობნი. პირველი წყება ამ სომხებისა, რიცხვით 400 სულამდე გაიგზავნება ქუთაისს; გენ. გუბერნატორის განკარგულებით მათთვის მოეწყო დამხმარე და განმანაწილებელი პუნქტები, სადაც შეპყრობილთ აძლევენ დახმარებას და შემდეგ ყოველდღიურათ იგზავნებიან ქუთაისში, სადაც დამზადებულია მათთვის ყველაფერი გუბ. კომისარის მიერ.

### მოხალისენი.

მოხალისენი, რომელნიც ტფილისის ახლომახლო სცხოვრობენ და არ უწევთ ჯარში გასვლა, მაინც თავის ნებით ცხადდებიან ტფ. გენ. გუბერნატორთან და სთხოვენ სამხედრო სამსახურში გასვლას, ზოგი მათგანი სოფლიდან ფეხით ცხადდება ... სამხედრო ... შეძლებისდაგვარად, შესაძლებლობის აღმოჩენას და მოშველებას ტფილისის დასაცავათ.

# გზათა სამინისტროში.

### პლაცკარტის შემოღება

გზათა მინისტრმა შემდეგი ბრძანება გასცა: „არა ერთხელ შემინიშნავს რომ № 3 და 4 საფოსტო მატარებლის ბაქანი სავსე ყოფილა ხალხით, რის გამო გასავლელი ადგილიც არ არის ხოლმე. ასეთი მოვლენა ყოვლად შეუწყნარებელია და რომ მომავალშიაც არ ჰქონდეს მას ადგილი, წინადადებას გაძლევთ შემოიღოთ საფოსტო მატარებლის 4 ვაგონში დიდ დივანზე პლაცკარტი 5 მან. თითო ადგილზე. რაც შეეხება დანარჩენ უპლაცკარტო ვაგონებს ყოველივე საჭირო ზომები უნდა მიიღოთ, რათა მატარებლის ბაქანზე არავინ გაჩერდეს. ამიტომ წინადადებას გაძლევთ გაიყიდოს სამგზავრო კასიდან იმდენი ბილეთი, რამდენიც ადგილია და შედეგი ამისა დაწვრილებით მაცნობოთ.

### ტელეგრაფის მეთვალყურეთა კურსები

გზათა სამინისტრომ აცნობა სახაზინო რკინის გზათა უფროსს, რომ გზათა მინისტრი თანახმაა ტელეგრაფის მეთვალყურეთა მოსამზადებელი კურსები გაიხსნას.

### მკვლელობა

სადგურ გურჯაანიდან გზათა სამინისტროს დეპეშით ატყობინებენ: 19 დეკემბერს საღ. 8 ს. სატეხნიკო კანტორაში სადგურის უფროსის თანაშემწემ აკაკი ბერიაშვილმა რევოლვერით მოჰკლა ტელეგრაფისტი ალექსანდრე გორდეზოვი. მიზეზი პირადი მტრობაა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### საბაჟოს შესახებ

მიწათ-მოქმედების და შრომის მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ძველ საფოსტო გზაზე სანდარზე სწარმოებს ღვინის შემოტანა უბაჟოთ საქართველოს რესპუბლიკაში. ამის გამო მიწათ. მოქმ. მინისტრის შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ყაზახთან დაარსებულ იქმნეს საბაჟო სადგური და ვიდრე ეს საბაჟო სადგური დაარსდებოდეს მიწ. მოქმ. მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს უბოძოს განკარგულება, რომ ამ გზით სრულიად მოისპოს საქონლის ზიდვა.

# საქართველოს რესპუბლიკის ფონდი

### საქართველოს დამცველთ.

თავისუფალ საქართველოს თავისუფლების დარაჯთ და მისი პატივის და დიდების დამცველთ — სალამი და პატივი და დიდება მკვდრისამდე!

რადგან, ჩემთვის სამწუხაროდ, მოწყობილ გარემოებათა გამო, ვერ მიხდება ბრძოლის ველზე, ვერაგ მტრის წინააღმდეგ, ჩემის პირადი შრომით და სისხლით საყვარელი სამშობლოს წინაშე ჩემი უწმინდესი მოვალეობის მოხდა, გადავსწყვიტე-ეს ჩემი მოვალეობა მოვიხადო აქ, როგორც სათანადო შრომით, აგრეთვე, ჩემის შეძლების დაგვარად, ფრონტის ზურგის გამაგრების საქმეში წვლილის შეტანით.

ამ მიზნით გაახლებთ ამ ჟამად ას მანეთს იმ სურვილით, რომ ნახევარი მოხმარდეს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ოჯახებს, ხოლო მეორე ნახევარი—მიემატოს ომის წარმოებისათვის საჭირო თანხას.

ვალად ვიდებ აგრეთვე შემდეგშიც, ომის გათავებამდე, ვახადო ამავე მიზნისთვის ყოველ თვე არა ნაკლებ ხუთი თუმნისა.

მრწამს, რომ არც ერთი ერთგული შვილი და, მით უფრო, ერთგული მსახური თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკისა, ნამეტნავად ისინი, რომელნიც არ ემსახურებიან სამშობლოს იარაღით ხელში ბრძოლის ველზე, არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს მებრძოლ გმირთა და მათი ოჯახების სასარგებლოდ და გასამხნევებლად.

საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილების აღმოსავლეთის ენათა თარჯიმანი ნესტორ შ ა ვ დ ი ა.

### ჭიათურის მრეწველნი.

თფილისი, 23 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარეს. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონერი საზოგადოების კრება მიესალმება ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობას და აცხადებს, რომ იგი ყოველის თავისი ძალღონით დაეხმარება მთავრობას სამშობლოს დაცვის საქმეში ვერაგი მტრის წინააღმდეგ, ჯარის საჭიროებისათვის კრებამ გადასდო 150.000 მან. დიდება ქვეყნისა და თავისუფლების დამცველ ჯარს და გვარდიას.

### სამხედრო სამოსამართლო უწყების ხარისხოვანთა კრების დადგენილება.

1) სალამი მიეძღვნას ჩვენ მამაც ჯარს და სახალხო გვარდიას ჩვენი დამოუკიდებლობის ერთგულ დაცვისათვის.

2) ვამცნოთ მათ, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ყოველივე ღონისძიებით დავეხმაროთ და ამასთან ერთად გავაფართოოთ ჩვენი მოქმედება, რათა უფლებრივი ნორმები და თვითშემეცნება ჯარში უფრო განმტკიცდეს.

გარდა ამისა კრებამ დაადგინა დაარსოს ფონდი, რომლისათვის გაიღოს თავის ჯამაგირიდგან განსაზღვრული პროცენტი.

### ჯამაგირების პროცენტები.

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა ყრილობამ დღეს ერთხმად დაადგინა: ახლავე გადასცეს მთავრობას ომის საჭიროებისათვის თავისი წვლილი 30% თვიური ჯამაგირისა და ამასთანავე აღუთქვამს შეძლებისამებრ ზნეობრივ და ფიზიკურ დახმარებას.

### შემოწირულება.

პეტრე ლუკას ძე ქაცარაძემ შემოსწირა ფულათ 400 მანეთი.

ფოთის ხაზინის მოსამსახურეთ გამოიღეს თავიანთი წვლილი საქართველოს სამხედრო ფონდის გასაძლიერებლათ.

შემოსწირეს: ბესარიონ ჩიჩუამ 50 მ., მელქისედეკ კალანდარაშვილმა 50 მ., ემელიანე კოპეიშვილმა 50 მ., ნოე ქვანიამ 50 მ., ერმალო გიორხელიძემ 50 მ., პეტრე ქვანიამ 50 მ., ნატაშა ვეკუამ 50 მ., ოჩიგავა კონსტანტინემ 40 მ., მარია წალდაძემ 20 მ., მიხაილ უგულოვამ 5 მ., პართენ ხელიამ 5 მ., გ. ნადირაძემ 10 მ., ერასტო სიჭინავამ 5 მ., სოლომონ ჩახავამ 5 მ., კასპერ ვიიტენკომ 5 მ., კუზმა მაკარჩიკმა 5 მ., სულ 450 მან.

# საქართველოს პარლამენტი·

### დეკემბრის 24-ის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

კრება იხსნება 1-ის 15 წუთზე.

შ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი. მოახსენებს პარლამენტს წინა კრებაზე მიღებულ კანონ-პროექტების საბოლოო ტექსტს.

ქ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი მოხსენებას უდგენს პარლამენტს საქართველოს რესპუბლიკის საეროვნო ღერბის პროექტს.

იგივე მომხსენებელი უდგენს პროექტს საბაჟო უწყების დროშისას და სამხედრო უწყების დროშისას. პროექტები მიღებულია პარლამენტის მიერ.

1 საათ. 25 წუთზე პარლამენტის კრება სწყდება და წევრები მიემგზავრებიან გმირულათ დაღუპულ სანდრო მაისურაძის დასაფლავებაზე დასასწრებლათ.

# გვარდიელების დასაფლავება

გუშინ, 24 დეკემბერს, საძმო სასაფლაოზე ბრძოლის ველზე გმირულად დახოცილი 32 გვარდიელი დაასაფლავეს. გამოსვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. დაესწრო აგრეთვე გვარდიისა და რეგულიარულ ჯარის ნაწილები. გამოსვენებას დაესწრო მთელი თავისი შემადგენლობით საქართველოს პარლამენტი.

# ქვემოს ხიდის აფეთქების საქმე

### შმაგაილოვი.

წინასწარ გამოძიებაზე შმაგაილომ უჩვენა შემდეგი:

„იგი მართლა სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი გიორგი ლეონიდის ძე შმაგაილოვია, შოროშინ კი დაირქვა შემდეგ მოსაზრებით. იგი გაემგზავრა კავკავში ცნობილ ჟუნკოვსკის საქმის შემდეგ. რადგან ვერ მოახერხა გაეგო რა მდგომარეობაშია ეს საქმე და იმ შიშით, რომ ხანმოკლე ყოფნის დროს საქართველოს რესპუბლიკაში ხელი არ შეუშალოს მის ნამდვილ გვარმა და ვერ შესძლებდა რუსეთში გასვლას, ამიტომ შოროშინის გვარი დაირქვა. სრულ ჩვენებას ამ საქმეზე იგი ვერ უჩვენებს, ვინაიდან იგი დამოკიდებულებაშია ცნობილ პირებთან და სანამ მას არ გაანთავისუფლებენ ამ მოვალეობიდან და არ მისცემენ მას უფლებას გამოამჟღავნოს სუყველაფერი, რამდენიმე გარემოებებზე ამ საქმის შესახებ იგი იძულებულია სდუმდეს.

შემდეგ შმაგაილომ უჩვენა შემდეგი: 1 ნოემბერს ამა წლისა გათენებისას განსაკუთრებულ მინდობილობით იგი გაემგზავრა ტფილისიდან და საღამოს იმავე დღეს ბრუნდებოდა მარტოდ, მაგრამ იგი გააფრთხილეს, რომ 1 ნოემბერს აფეთქებულ იქნება ქსნის ხიდი, და წინადადება მისცეს გამგზავრებულიყო იქ. ისიც წავიდა დასათვალიერებლათ. იყო მთაზე, რომელიც მდებარეობს ხიდს ახლო, ნახა ეს ხიდი შორიდგან და რადგან საშუალება არ ჰქონდა ამ ნაკისრ მოვალეობის სისრულეში მოყვანა ტყე-ტყე დაბრუნდა უკან და ბინდ ბუნდში შეხვდა უცნობ პირს, რომელმაც როცა შეიტყო, რომ იგი მიდის ტფილისში, წინადადება მისცა ერთათ ევლოთ. ბინდს ზედ დაერთო ისეთი ნისლი, რომ გზა ორთავემ არიეს და იძულებული გახდნენ ტყეში გაეთიათ. დილითაც ნისლი ჩამოწვა, რომელმაც ხელი შეუშალა გზის მიმართულების პოვნას, მაგრამ მიუხედავათ ამისა ისინი მაინც მიდიოდნენ და გზას იკაფავდენ, რომ სადმე მაინც გასულიყვნენ. როცა დაიღალნენ დასხდნენ და დაიწყეს საუზმობა. ამ დროს ტყეში ვიღაცის ხმაურობა გაისმა. თანამგზავრის შეკითხვაზე რა უთხრას მან, როცა ჰკითხავენ საით და რისთვის მიემგზავრებიან, შმაგაილოვმა უპასუხა: თუ მას ჰკითხავენ იგი იტყვის: იყო სოფლებში სანოვაგის სასყიდლათ. შემდეგ მათ გზა განაგრძეს, მაგრამ მალე დაიწყო სროლა. მე გამოვიქეცი. გზაში დამატყვევეს და ეტლით დილომში მიმიყვანეს, აქ რამოდენიმე ხნის შემდეგ მოიყვანეს დაჭრილი კაცი, მაჩვენეს და ის აღმოჩნდა ჩემი მგზავრი. კითხვაზე მიიღო თუ არა მონაწილეობა აფეთქებაში, შმაგაილოვმა სთქვა: ერთმა ორმა, რომელსაც მე ვენდობოდი, გამაცნო მოკავშირეთა წარმომადგენელი, ამ უკანასკნელმა წინადადება მომცა მონაწილეობა მმეღო ტფ. და ფოთს შუა რკინის გზის მიმოსვლის შეწყვეტაში, უნდა ავეფეთქებინა ისეთი ხიდი, რომლის შეკეთებას 2—3 კვირაზე მეტი არ დასჭირდებოდა, ამ ხნის განმავლობაში უთუოდ უნდა მომხდარიყო ცვლილება საერთაშორისო ომის მდგომარეობაში და მოკავშირეთა მიზანი იყო შეეჩერებინათ გერმანელ ჯარის კაცების გამგზავრება დასავლეთის ფრონტზე და სანოვაგის და სხვა მასალის გატანა გერმანიაში რამდენიმე ასი მილიონის ღირებულებისა. ამ იდეას მე სავსებით თანაუგრძნობდი, და სრულებით უანგაროთ მივიღე შეძლებისდაგვარათ მონაწილეობა ამ ხიდის აფეთქებაში. ეს აქტი მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის წინააღმდეგ და აზრადაც არ მქონია საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება.

### კუჩერიანი.

წინასწარ გამოძიებაზე მეორე ბრალდებულმა კუჩერიანმა განაცხადა შემდეგი: „ოქტომბრის 31-ს ღამით წავედი მცხეთაში, აქ მოვიცადე დილამდე. აქ ვნახე უცნობი, რომელიც წინა დღით ტფილისის სადგურზე ბილეთს ჰყიდულობდა, აქედან წავედ სოფელში სანოვაგის სასყიდლათო და შემდეგ მოხდა ის რაც ზემოთ არის მოთხრობილი. რუბენ ჩალუხჩიანს არ ვიცნობ და არც არავითარი მონაწილეობა მიმიღია აფეთქებაშიო.

### კიურულიანცი.

ბრალდებულ კიურულიანცმა წინასწარ გამოძიებაზე განაცხადა შემდეგი: მას დაავალეს მხოლოთ წერილის მიტანა ჩალხუშიანის ნომერში და აფეთქებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო.

### პასუხისგებაში მიცემა.

ყველა ზემო მოყვანილ გამოძიების ძალით კუჩერიანი, შმაგაილოვი, და კიურულიანცი პასუხისგებაში არიან მიცემულნი. მათ ბრალ-

დებათ, რომ რკინის გზის გაწყვეტის მიზნით ააფეთქეს ხიდი. ამის გარდა ქურჩარიანს ბრალდება, რომ ნოემბრის სამს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია სართიჭალის რაიონის კომისარს ზაქარია ჯაფარიძეს და ხიზანაშვილს. ბრალდებულნი გასამართლებულ უნდა იქმნან საგანგებო სასამართლოში.

**პროცესი.**

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულებს სცნობენ თუ არა იხინი თავს დამნაშავეთ.

**შმაგილოვის პასუხი.**

ამ შეკითხვის შემდეგ პირველათ უპასუხებს შმაგილოვი, რომელიც დამნაშავეთ სცნობს თავს, რომ მან მიიღო მონაწილეობა ხიდის აფეთქებაში მოწყობაში და ნებართვას ითხოვს განმარტებების წარმოდგენისას. თავმჯდომარე ნებას აძლევს და ამის შემდეგ შმაგილო სასამართლოს მოუთხრობს შემდეგს:

„გამოძიების დროს მე ყველაფერი ვერ ვსთქვი, რადგან პირობა მქონდა მიცემული ზოგიერთებისთვის; ეხლა ამ პირობისაგან განთავისუფლებული ვარ და შემიძლიან ყველაფერი მოგახსენოთ. 1911 წელს მე დავასრულე პეტროგრადის ნიკოლოზის სახელობის საინჟინერო აკადემია და გამგზავნეს გროდნის ციხეში, რომელიც 75 ვერსით არის დაშორებული გერმანიის საზღვარს. აქ მუდამ ჟამს მოელოდნენ ომს გერმანიასთან. მე ძლიერ მაინტერესებდა ჩვენი მომავალი მტერი და გავიცანი მთელი ლიტერატურა, რომელზედაც აღიზარდა გერმანიის ლაშქარი. გერმანიის სამხედრო ლიტერატურა იყო განუწყვეტელი ქებათა ქება ომისა. ის იყო ომის კულტის განსახიერება. აქ პირველათ გავიგონე მე ჰიმნი მომავალი სისასტიკისა, მომავალი სიმხეცისა: გაანადგურე ყველაფერი რაც კი შეგვხდება მოწინააღმდეგის საზღვრებში. მუშაობის დროს მე გავეცანი იმასაც, თუ როგორ ემზადებოდა პრაქტიკულად გერმანია ომისათვის. გროდნოს ციხისათვის ჩვენ გვიხდებოდა მანქანების და სხვა მასალის შეძენა გერმანული ფირმის ქარხნებშიც. და აი აქ გამოსჩანდა მთელი სივერაგე გერმანიისა: გერმანიის ფირმები ფოლადის მანქანების მაგიერათ გვაწვდიდენ თუჯის მანქანებს ერთი სიტყვით, ყოველთვის გვატყუებდენ და ცუდ მასალებს გვიგზავნიდენ. როდესაც ომი დაიწყო, მე გამომგზავნეს რენენკამფის ლაშქარში, აღმოსავლეთ პრუსიაში, აქაც საზღვარი არ ჰქონდა გერმანელების სიმხეცეს, როდესაც ისინი ადგილებს სტოვებდენ და უკან იხევდენ, წყალს სწამლავდენ და ჩვენი ჯარის კაცები იხოცებოდენ ამ მოწამლული წყლით. შემდეგ გადამიყვანეს ვარშავის რაიონში: ირგვლივ ძალადობა იყო, სადაც კი მისწვდებოდენ გერმანელები, ყველგან ძალმომრეობას ხმარობდენ მშვიდობიან მცხოვრებლებზე და ჟლეტდენ მათ. ეს იყო უაღრესი გამოხატულება სისხლის მწოველობისა. ჩვენ უკან ვიხევდით, მივაღწიეთ გროდნოს, სადაც ყველაფერი გადავსწვით, რომ მტერს არ ჩავარდნოდათ ხელში. გადავსწვით იმიტომ, რომ ზურგში ყველგან ღალატი და გამცემლობა იყო, ყველგან იყო გამჯდარი გერმანიის ღალატი. ისე ჰყავდათ დაგზავნილი გერმანელებს თავიანთი აგენტები ჩვენს ზურგში, რომ ყველაფერი იცოდენ მათ და ჩვენ ვმარცხდებოდით. როდესაც ყველაფერი ეს განვიცადე, მე უკვე დავკარგე გამარჯვების იმედი, რომელიც იქამდე მქონდა. მე გამომგზავნეს კავკასიის ფრონტზე გენერალ იუდენიჩის შტაბში. არზრუმში მე გავიგე ყველაფერი რუსეთის შინაურ საქმეების შესახებ, ჩვენთან ჩამოვიდა გუჩკოვი და მან აგვიხსნა, როგორი ვაკხანალია ჰქონდათ გამართული რუსეთში მოღალატეებს: სამხედრო სამინისტროში ყველაფერი კეთდება გერმანიის კარნახით. მოახლოვდა რევოლუციის დღეები. რევოლუციას ჩვენ დიდი სიხარულით შევხვდით, რადგან ვფიქრობდით, რომ აქ მაინც მოეღებოდა ბოლო ღალატს და ჩვენც გავიმარჯვებდით გერმანიაზე. მე წავედი პეტროგრადში, რომ უფრო ახლო მონაწილეობა მიმეღო გერმანიის დამარცხებაში დასავლეთის ფრონტზე, მაგრამ იმედი ფუჭი გამოდგა. ამ დროს პეტროგრადში მოვიდა ლუქით დაბეჭდილი მატარებელი და მან ჩამოიყვანა ლენინი და მოწამლა მთელი რუსეთი. მოვიარე მთელი მოსკოვის მხარე—ყველგან ქაოსი, წაველი უკრაინში. აქ უკვე მაგრათ ჰქონდა ჩაჭედილი ხელი გერმანიას, აქედან იწყება რუსეთის ნგრევა. წამოველი ისევ კავკასიაში. აქ მყავდა ამხანაგი ბაიარ-ოღლი მან გამაცნო ჩალხუშიანცი, რომელზედაც დავრწმუნდი, რომ ჩემსავით იდეური და პატიოსანი იყო. ის იყო რუსეთის გულწრფელად მოყვარული დიდი ანგლოფილი და გერმანიისადმი ზიზღით აღვსილი. მე ისევ პეტროგრადში დავბრუნდი. ამ ხნის განმავლობაში უკვე ღრმათ გაუდგამს ფესვები გერმანიის მუშაობას. მე ვნახე, როგორ გაუნადგურებია გერმანიას ბოლშევიკების შემწეობით ყველაფერი, გაუხრწნია რუსეთის ძვირფასი კულტურა. პეტროგრადში ვინახულე ამერიკის ელჩი და ვსთხოვე, როგორმე გადავეყვანე მოკავშირეთა რომელიმე ლაშქარში, რომ იქ მაინც მიმეღო მონაწილეობა გერმანიის დამარცხებაში. პეტროგრადში ეს ვერ მოვახერხე. გამოვემგზავრე აქეთკენ, რომ აქ მაინც მიმეღწია მიზნისათვის...

# ქ რ ო ნ ი კ ა

○ ავსტრო-გერმანიიდან ტფილისში რუსთა ეროვნულ საბჭოში დიდძალი რუსთა და სხვა ეროვნებათა ტყვეები მოვიდნენ. 23 დეკემბრამდე მოვიდა 360 ტყვე. რუსთა ეროვნული საბჭო დახმარებას უწევდა, გზავნიდა რუსეთში. ეხლა რადგანაც საჭირო საშუალება რუსთა ეროვნულ საბჭოს არ მოეპოვება, მიმართა საქართველოს მთავრობას სუბსიდიისთვის.

○ 23 დეკემბერს მილიციონერებს ტუსაღი გ. გრიგორიანცი მიჰყავდათ. პატიმარმა მიუხედავათ გაფრთხილებისა, რომ არ გაქცეულიყო, მაინც გაქცევა დააპირა, მილიციონერებმა ესროლეს და იქვე მოჰკლეს.

○ 23 დეკემბერს საღ. 9 საათზე მოსკოვის ქუჩაზე გერმანიის დელეგაციის წარმომადგენელს ვ. მიულერს 4 შეიარაღებული პირნი დახვდნენ და 10000 მან. წაართვეს.

○ 23 დეკემბერს საღ. 6 საათზე გელაშვილის ფეხსაცმელების სახელოსნოდან (დიდი მთავრის ქ. № 74) ბოროტმოქმედებმა 10000 მან. სხვა და სხვა საქონელი და 1660 მან. ფულათ გაიტაცეს.

○ შაბათს, 28 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მესამე კამერული კონცერტი სკანდინავიის მუსიკისა, ქ. ა. ს. ვოლ-ლევიცკის და ქართულ სამუსიკო სკოლის კვარტეტის მონაწილეობით.

○ მთავრობის თავმჯდომარის სახელზე კიევიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: დაიდო ხელშეკრულება 250,000 ფუთი ხორბლის მატყლზე გაცვლის შესახებ. ხორბლის პირველი პარტია უახლოეს დროში გამოიგზავნება. საქართველოს წარმომადგენელი თევზაძე,

○ ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, სადამოს 7 საათზე, ფრეილინის ქ., № 11, ინჟ. ს. კორკისალოვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ელექტრონული რკინის გზები საქართველოს რკინის გზების ელექტროფიკაციასთან დამოკიდებულებაში“.

○ რედაქციამ მიიღო ახლათ გამოცემული წიგნები: 1) კ. დ. მიქელაძე: „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა“. 2) სამს. ფირცხალავა: „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“. მიიღო აგრეთვე „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი ნომერი.

# ქალაქის გამგეობაში.

**პურზე ფასის მომატება.**

21 დეკემბრიდან გერმანელების მიერ მოტანილ უკრაინის ფქვილიდან გამომცხვარ იაფ ფასიან პურს ფასი მოემატა და 1 მ. 50 კაპ. მაგივრათ 2 მან. გაიყიდება გირვანქა.

**აბანოების მიღება.**

ამ დღეებში სადგილ-მამულო გამგეობის მიმღები კომისია შეუდგება ტფილისის აბანოების მიღებას სახელმწიფო ფონდში.

**ხოლერა.**

17 დეკემბერს ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს შოლკოვნიკოვის ქუჩიდან № 14, ერთი საეჭვო ავათმყოფი. ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ იგი ხოლერით არის ავათ. გუშინ ხოლერით ავათმყოფების განყოფილებაში გადმოიყვანეს იმავე ქსენონის სახადით ავათმყოფების განყოფილებიდან კიდევ ერთი ხოლერიანი ავათმყოფი.

**ნავთის განაწილება.**

გუშინ-წინ ბაქოდან 68 ვაგონი ნავთი მოვიდა. სათბობის განმანაწილებელ კომიტეტმა მოსული ნავთი ასე გაანაწილა: ქალაქის გამგეობას მიეცა 18 ვაგონი მილის წყლის სადგურისავის, ტრამვაისათვის, ქუჩების გასანათებლათ, საყასპოსთვის და სხვა საჭიროებისათვის, 10 ვაგონი მიეცა მექარხნეების და ფაბრიკანტების კავშირს, 31 ვაგონი საქართველოს რკინის გზებს, 3 ვაგონი კახეთის რკინის გზას, 2 ვაგონი ფოთის ნავთსადგურს და 1 ვაგონი სამხედრო უწყებას.

**ტრამვაის მიმოსვლის გაძლიერება.**

რადგანაც ტრამვაის დირექციამ საკმარისი ნავთი მიიღო, შაბათიდან ელექტრონულ სადგურზე გაუშვა სამუშაოთ მეორე მანქანაც და ტრამვაის ხაზზე გამოუშვა 26 ვაგონის მაგივრათ 60 ვაგონამდე.

**ნავთის ჩამოზიდვა.**

გუშინ ტფილისში ჩამოზიდეს ბაქოდან რამდენიმე ცისტერნი ასანთები ნავთი, რომელიც უნდა გაიყიდოს 2 მ. 50 კ. გირვანქა, თუ იგი სპეკულიანტებს არ ჩაუვარდათ ხელში.

**სახადი.**

ამ უკანასკნელ სამ დღის და ღამის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში მიიყვანეს 63 სახადიანი, ამავე დროს საავათმყოფოდან გამოეწერა 26 სახად ნახადი.—გარდაიცვალა 7. პარასკევს საავათმყოფოში 405 სახადიანი დარჩენილა.

**ჯამაგირზე ზედდამატება.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა საავათმყოფოს ყველა მოსამსახურეს, რომელნიც დროებით განთავისუფლებულნი არიან სამსახურიდან მიეცეს ჯამაგირზე ზედ დამატება 200 მან. პურის სიძვირით გამოწვეული.

**ტრამვაით უფასოთ სარგებლობა.**

ქალაქის გამგეობამ ტრამვ. დირექტორს განმარტება გაუგზავნა იმის შესახებ, რომ გვარეთ წოდებულ გუბერნიის ბატალიონის მოხელეებ უფლება არა აქვთ ტრამვაით უფასოთ სიარულისა, აგრეთვე არა აქვთ უფლება ტრამვაის უფასოთ სარგებლობისა რკინის გზის, მაზრის და სხვა მილიციის მოხელეთ, გარდა ტფილისის საქალაქო მილიციის მოხელეთა.

**ბარათების დარიგების პროექტი.**

ქალაქის გამგეობამ უბნების სასურსათო კომიტეტების კრების განსახილველათ და დასკვნის წარმოსადგენათ გადასცა სასურსათო განყოფილების მიერ შემუშავებული პროექტი სასურსათოს მისაღებ ბარათების დარიგების წესისა.

**მერძეველთა რეგისტრაცია.**

რძისა და რძის ნაწარმოების ვაჭრობის ნებართვის მიცემის უფლება ქალაქის გამგეობამ ქალაქის ქიმიკურ ლაბორატორიის კოლეგიას მიანდო, რომელმაც უნდა აწარმოოს მათი რეგისტრაცია. სია იმ პირთა, ვისაც ლაბორატორიის მიერ მიეცემა, ნებართვა ლაბორატორიის გამგემ უნდა შეატყობინოს ქალაქის სამედიკო სასანიტარო ბიუროს კონტროლისათვის.

# კავკასია—შავი-ზღვის

**სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოების წესდება.**

დედანზე სწერია: „ამ წესდებას კავკასია — შავი-ზღვის სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოებისას ვამტკიცებ. ფინანსთა და მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული.

28 ნოემბერი, 1918 წელი.

ნამდვილია. საქმის მწარმოებელი ლოლაძე.

**საზოგადოების დაარსების მიზანი, უფლება და ვალდებულება მისი.**

§ 1. თავის ხარჯზე და კომისსიური გზით ყოველ-გვარ საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის, ქარხნების, წისქვილების, ფაბრიკების და სხვა წარმოებათა მოსაწყობათ და საექსპლოატაციოთ არსდება საზოგადოება სახელწოდებით: კავკასია— შავი-ზღვის სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოება“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოების დამაარსებელია—აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია.

§ 2. საზოგადოებას ნება ეძლევა შეიძინოს საკუთრებათ ან დროებით სამფლობელოთ და მოსახმარათ დამაარსებლისაგან და წარმოებაში მონაწილეობისათვის მოწვეულ პირთაგან საზოგადოების დაწესებულებების შეხამებული მიზნის თანახმათ მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნებათ მათ აქციონერების პირველ საზოგადო კრების მოწვევის დრომდე. საზოგადოების მიერ აღნიშნული ქონების შეძენა ხდება კანონიერ საფუძველზე, ამ საგნის შესახებ ყველა კანონდებულების და დადგენილების დაცვით. საზოგადოების მიერ აღნიშნულ ქონების შეძენის საბოლოო პირობებს იმუშავებს: კანონიერათ შემდგარი აქციონერების საზოგადო კრება და ქონების პატრონნი შეთანხმებით, და თუ ეს შეთანხმება არ მოხდა საზოგადოება შეუდგენელათ ითვლება (§ 8). საზოგადოების მიერ ქონების შეძენამდე პასუხისმგებლობის საკითხი ყველა ვალისა და ვალდებულებისა, რომელიც ამ ქონების პატრონთ აქვთ და რომელიც ამ ქონებაზედაც არის, აგრეთვე ამ ვალისა და ვალდებულების გადაპირება, მოვალეების [illegible] საზოგადოებაზე, ხდება არსებული [illegible] კანონების თანახმათ.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი**


გორის მაზრაში ახარჩეეია თორმეტი

**მომრიგებელი მოსამართლე.**

ჯამაგირი მომატებულია. თხოვნები 1919 წ. 15 იანვრამდე მიიღება.

გორის სამაზრო ერობის გ ა მ გ ე ო ბ ა

1191 3—2

**იშვიათი შემთხვევა**

იყიდება ყველაფერი, რაც ადამიანს ცხოვრებაში ესაჭიროება მისამართი მადათოვის კუნძული, სადაც იყო შეშის საწყობი კურცხალიასი. 1205 3—1

**სასადილო საზოგადოება „იმედი“-სა**

ქალთა წრემ განაახლა მუშაობა სასადილო „იმედისა“. ყოველ დღე მზადდება გემრიელი სადილები 1 საათიდან—5 საათამდის. მოწვეულია საუკეთესო მზარეული. ფასები დაკლებულია. სასადილო იმყოფება ძველ სემინარიის შენობაში. 1173 12—7

**ექიმი ი. კ. აგაპელია**

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

სოფ. გუნია კალას (ბორჩ. მაზ.) მცხოვრები დანიელ სავისძე ჰაიტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული მთავარ სასურსათო საბჭოდან 1618 წ. დეკემბრის 17-ს № 2095/3519, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1[illegible] 2—2

სიმტკიცის მოწმობა, რომელიც აღ[illegible] ყო 1899 წ. ნუსხაში დეკემბრის 30, მე 3194 №-ით, მელანია გიორგის ასულის ბობოკოვას სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. 1200 3—1

ონისიმე თედორეს ძე ციხისელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი პასპორტი ერთი მის სახელზე, მიღებული ბარის სასოფლო სამმართველოდან 1908 წ. ივნისის 6-ს, № 315 უვადოთ, მეორე ნინო ივანეს ასულის ციხისელის სახელზე № 106. 1193 3-1

მიხეილ კონდრატის ძე ვისსი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდგან განთავისუფლების მოწმობა № 179,854, რაც უნდა ჩაითვალოს გაბათილებულად.

1186 3—2

ქალაქ ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ელიზბარ ჯაშინოს ძე მელაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მელაძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში.

1214 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ სურამის მეორე მომრიგებელი უბნის სასამართლოს ბოქაული ქაიხოსრო ივანეს ძე ბახუტაშვილი სამსახურიდან დათხოვნილია 1918 წ. სექტემბრის 28-დან. თავმჯდომარე იწვევს იმ პირთ, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ ბახუტაშვილის საწინდარზე, შემოიტანონ იგი 6 თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

629 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული კიპრიან დანიელის ძე ლიზოგუბ-ლიზოგუბენკო, ოთხი თვიჩ განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, სამსახურიდან დათხოვნილია 1918 წ. მაისის 15-დან. თავმჯდომარე იწვევს იმ პირთ, რომელთაც რაიმე პრეტენზია აქვთ ლიზოგუბ-ლიზოგუბენკოს საწინდარზე, შემოიტანონ იგი ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან.

1094 1—1


სტამბა საქართველოს მთავრობის.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე